ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2025 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილება *IP v. Quirin Privatbank AG, C-655/23, ECLI:EU:C:2025:655*

მოკლე მიმოხილვა:

საქმე, სხვა საკითხებთან ერთად, შეეხებოდა პირადი ინფორმაციის გამჟღავნების შედეგად არაქონებრივი ზიანის დადგენას. კერძოდ, გერმანიაში რეგისტრირებულმა კომპანიამ, რომლის მიერ გამოცხადებულ ვაკანსიაზეც მოსარჩელეს ჰქონდა განაცხადი შეტანილი, მოსარჩელისთვის განკუთვნილი შეტყობინება გაუგზავნა მესამე პირს. შეტყობინებით კომპანია მოსარჩელეს უარს ეუბნებოდა მის მიერ მოთხოვნილ ანაზღაურებაზე და სთავაზობდა მას ალტერნატიულ, უფრო დაბალ ანაზღაურებას.

გერმანიის ეროვნულ სასამართლოში მოსარჩელე, სხვა საკითხებთან ერთად, ითხოვდა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას და უთითებდა, რომ ზიანი მდგომარეობდა მის წუხილში, რომ მესამე პირს შეეძლო გადაეცა მისი პირადი ინფორმაცია მისი ყოფილი ან მომავალი დამსაქმებლებისთვის, მოსარჩელესთან მიმართებით მოეპოვებინა უპირატესობა პოტენციური შეჯიბრებითი დასაქმებისას და ენახა ის დამცირება, რომელიც მოსარჩელემ განიცადა ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების ჩაშლის შედეგად.

გერმანიის ეროვნული სასამართლოს წინაშე დაისვა საკითხი „არაქონებრივი ზიანის“ შემადგენელ ელემენტებთან და მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) 82(1)-ე მუხლით რეგულირებული ზიანის ანაზღაურების უფლების წინაპირობებთან დაკავშირებით. შედეგად, მან წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში შემდეგი შეკითხვით მიმართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს: მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) 82(1)-ე მუხლით გათვალისწინებული არაქონებრივი ზიანის ცნების ქვეშ უნდა მოიაზრებოდეს თუ არა ისეთი უბრალო ნეგატიური ემოციები, როგორიცაა გაღიზიანება, უსიამოვნო გრძნობა, უკმაყოფილება, წუხილი და შიში, რომლებიც, თავისთავად, ზოგადი ცხოვრებისეული რისკისა და ხშირად ყოველდღიური გამოცდილების ნაწილია.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ „არაქონებრივი ზიანის“ ცნება მოიცავს მონაცემთა სუბიექტის მიერ პერსონალური მონაცემების მესამე მხარისთვის უნებართვო გადაცემის შედეგად განცდილ ისეთ ნეგატიურ ემოციებს, როგორიცაა შიში და წუხილი, რომლებიც გამოწვეულია ამ მონაცემებზე კონტროლის დაკარგვით, მათი პოტენციური უკანონო გამოყენების ან სუბიექტის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების რისკებით, იმ პირობით, თუ მონაცემთა სუბიექტი დაადასტურებს, რომ მას აქვს ასეთი ნეგატიური შედეგების მქონე ემოციები.

მნიშვნელოვანი ამონარიდები გადაწყვეტილებიდან:

54 [...] მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) 82(1)-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელსაც რეგულაციის დარღვევის შედეგად მიადგა ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანი, უფლება აქვს განცდილი ზიანისთვის მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი ან მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისგან მიიღოს ანაზღაურება.

55 დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, იმის გათვალისწინებით, რომ მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) 82(1)-ე მუხლში არ კეთდება მითითება წევრი სახელმწიფოს ეროვნულ სამართალზე, „არაქონებრივი ზიანის“ ცნებას [...] უნდა მიეცეს ევროკავშირის სამართლისთვის სპეციფიკური ავტონომიური და ერთგვაროვანი განმარტება (ამასთან დაკავშირებით, იხ. 2024 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება MediaMarktSaturn, C-687/21, EU:C:2024:72, 64-ე პუნქტი, და 2024 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება Agentsia po vpisvaniyata, C-200/23, EU:C:2024:827, 139-ე პუნქტი [...]).

56 ამასთან დაკავშირებით, [ევროკავშირის მართლმსაჯულების] სასამართლო ხშირად იმეორებს, რომ [...] რეგულაციის უბრალო დარღვევა არ არის საკმარისი 82(1)-ე მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების უფლების მინიჭებისთვის. ქონებრივი თუ არაქონებრივი „ზიანის“ ან „დამდგარი ზიანის“ არსებობა, განსახილველი რეგულაციის დარღვევა და მიზეზობრივი კავშირი ამ დარღვევასა და ზიანს შორის, წარმოადგენს სამ კუმულაციურ პირობას, რომელიც აუცილებელი და საკმარისია ანაზღაურების უფლების წარმოშობისთვის. ამგვარად, იმ მონაცემთა სუბიექტმა, რომელიც 82(1)-ე მუხლის საფუძველზე ითხოვს ანაზღაურებას არაქონებრივი ზიანისთვის, უნდა დაამტკიცოს არა მხოლოდ განსახილველი რეგულაციის დარღვევის, არამედ ამ დარღვევის შედეგად მისთვის ზიანის მიყენების ფაქტი (ამასთან დაკავშირებით, იხ. 2023 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება Österreichische Post Non-material damage in connection with the processing of personal data), C-300/21, EU:C:2023:370, 32-ე, 33-ე, 37-ე და 42-ე პუნქტები; 2024 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება Agentsia po vpisvaniyata, C-200/23, EU:C:2024:827, 140-ე-142-ე პუნქტები; და 2024 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება Patērētāju tiesību aizsardzības centrs, C-507/23, EU:C:2024:854, 24-ე და 25-ე პუნქტები).

[...]

58 [...] [ევროკავშირის მართლმსაჯულების] სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარეობს, რომ მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) 82(1)-ე მუხლი გამორიცხავს ისეთ ეროვნულ წესსა თუ პრაქტიკას, რომელიც „არაქონებრივი ზიანის“ ანაზღაურების [...] წინაპირობად მონაცემთა სუბიექტის მიერ განცდილი ზიანის განსაზღვრული ხარისხის სერიოზულობას მიიჩნევს. აღნიშნული დებულება არ მოითხოვს, რომ მონაცემთა სუბიექტის მიერ განცდილმა „არაქონებრივმა ზიანმა“ მიაღწიოს *„de minimis ზღვარს“* იმისთვის, რომ ეს ზიანი ანაზღაურდეს (ამასთან დაკავშირებით, იხ. 2023 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება Österreichische Post (Non-material damage in connection with the processing of personal data), C-300/21, EU:C:2023:370, 51-ე პუნქტი, და 2024 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება Agentsia po vpisvaniyata, C-200/23, EU:C:2024:827, 147-ე და 149-ე პუნქტები).

[...]

60 [...] მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) პრეამბულის 85-ე პუნქტის პირველ წინადადებაში მოცემულია მონაცემთა სუბიექტის მიერ განცდილი შესაძლო „ზიანის“ სახეთა საილუსტრაციო სია, საიდანაც ცხადი ხდება ევროკავშირის კანონმდებლის განზრახვა, რომ ზიანის ცნებაში, მათ შორის, მოაზრებულ იქნეს რეგულაციის დარღვევის შედეგად მონაცემთა სუბიექტების მიერ პერსონალურ მონაცემებზე უბრალო „კონტროლის დაკარგვაც“, თუნდაც აღნიშნულს მონაცემების უკანონო გამოყენება არ მოჰყვეს. ასეთი კონტროლის დაკარგვა შეიძლება საკმარისი იყოს „არაქონებრივი ზიანის“ დადგომისთვის, [...], იმ პირობით, თუ მონაცემთა სუბიექტი დაადასტურებს ასეთი, თუნდაც მინიმალური, ზიანის განცდას, „არაქონებრივი ზიანის“ ცნებისთვის დამახასიათებელი იმ მოთხოვნის გარეშე, რომ დამატებითი ხელშესახები უარყოფითი შედეგების არსებობა იქნეს ნაჩვენები (ამასთან დაკავშირებით, იხ. 2024 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება Agentsia po vpisvaniyata, C-200/23, EU:C:2024:827, 145-ე, 150-ე და 156-ე პუნქტები, [...]).

61 [...] მონაცემთა სუბიექტის მიერ შიშის განცდა, რომ მისი პერსონალური მონაცემები მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) დარღვევის შედეგად უკანონოდ იქნება გამოყენებული მომავალში, შესაძლოა თავისთავად გახდეს „არაქონებრივი ზიანის“ დადგენის საფუძველი [...], იმ პირობით, თუ შიში, თავისი ნეგატიური შედეგებით, სათანადოდ არის დამტკიცებული, რაც საქმის განმხილველმა ეროვნულმა სასამართლომ უნდა განსაზღვროს (ამასთან დაკავშირებით, იხ. 2024 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება PS [Incorrect address] C-590/22, EU:C:2024:536, 32-ე, 35-ე და 36-ე პუნქტები, და 2024 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება Agentsia po vpisvaniyata, C-200/23, EU:C:2024:827, 143-ე, 144-ე და 155-ე პუნქტები [...]).

62 ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ემოციები [...], როგორიცაა შიში ან წუხილი, შეიძლება ასევე წარმოადგენდეს ზოგადი ცხოვრებისეული რისკის ნაწილს [...], ასეთ ნეგატიურ გრძნობებს შეუძლია გამოიწვიოს „არაქონებრივი ზიანი“, [...] იმ პირობით, თუ მიზეზობრივი კავშირის მოთხოვნის შესაბამისად [...], მონაცემთა სუბიექტი დაადასტურებს ასეთი ნეგატიური შედეგების მქონე ემოციების განცდას სწორედ რეგულაციის ისეთი დარღვევის გამო, როგორიცაა პერსონალური მონაცემების მესამე პირისთვის უნებართვო გადაცემა, რაც ქმნის ასეთი მონაცემების უკანონო გამოყენების საფრთხეს [...].

63 [...] ასეთი ინტერპრეტაცია შეესაბამება მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) 82(1)-ე მუხლის ფორმულირებას [...], რომელიც ხელს უწყობს „არაქონებრივი ზიანის“ ცნების ფართო განმარტების შესაძლებლობას [...]. დამატებით, აღნიშნული ასევე გამყარებულია რეგულაციის მიზნით, მაღალ დონეზე დაიცვას ფიზიკური პირები მათი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას

(ანალოგიის სახით, იხ. 2024 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება Gemeinde Ummendorf, C-456/22, EU:C:2023:988, მე-19 და მე-20 პუნქტები, და 2024 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება Agentsia po vpisvaniyata, C-200/23, EU:C:2024:827, 144-ე და 146-ე პუნქტები).

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი I
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოქცევის შესახებ, რომელიც აუქმებს დირექტივას 95/46/EC (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR))“
ევროკავშირის დებულება	რეგულაციის (EU) 2016/679 82(1)-ე მუხლი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი *(სარეგისტრაციო კოდი 040.000.000.05.001.000.223; 19/09/2025 კონსოლიდირებული ვერსია)*
საკვანძო ტერმინი	**არაქონებრივი (მორალური) ზიანი**
ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) პრეცედენტული სამართალი	ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2025 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილება IP v. Quirin Privatbank AG, C-655/23, ECLI:EU:C:2025:655

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე. ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს.